



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საგრებულო



გ ა ნ გ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 653

28 დეკემბერი
“—” 2023 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.03.040.095; №01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის №23.2010.2235 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.03.040.095; №01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01233172941-67 (№0123343126-67; №01233463864-67; №01233484046-67; №01233524045-67; №01233524562-67; №01233531289-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.2010.2235
20 / დეკემბერი / 2023 წ.

ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საგადასტრო კოდები: №01.14.03.040.095; №01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საკონსალტინგი 2023 წლის 13 ნოემბერს N01233172941-67 (N0123343126-67; N01233463864-67; N01233484046-67; N01233524045-67; N01233524562-67; N01233531289-67) განცხადებით მიმართა ალექსანდრე კორძახიამ (პ/ნ 01009004543) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საგადასტრო კოდები: №01.14.03.040.095; №01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საგადასტრო კოდები: N01.14.03.040.095; N01.14.03.040.372). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 11 556 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსტ-2), მცირე ნაწილზე - ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსტ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტბ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ბ; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საგადასტრო კოდები: №01.14.03.040.095; №01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N536 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ტერიტორიის მცირე ნაწილზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტბ-1) და ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსტ) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსტ-2). ასევე, ხდება საპროექტო ორი მიწის ნაკვეთის ერთ სექტორად გაერთიანება, სადაც დაგეგმილია ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება. შენობა N1 - 14 სართულიანი, განთავსებულია ქავთარაძის ქუჩის გასწვრივ, რომელის პირველი 2-3 სართული წარმოადგენს კომერციულს. შენობა N2 - 29 და 34 სართულიანი, განთავსებულია ნაკვეთის სამსრეთ ნაწილში (შენობა N1-ის უკან), ორი მაღლივი ნაგებობა გაერთიანებულია მიწისზედა პირველი სართულით (კომერციული) და მიწისქვეშა ორდონიანი ავტოსადგომით.



მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთები - N1

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) - 11 556 კვ.მ.

კ-1=0,5 - 5 142.4 კვ.მ.

კ-2= 4,6 - 53 677.6 კვ.მ.

კ-3= 0,3 - 3 467 კვ.მ.

საცხოვრებელი ფუნქცია - 73,17 % - 39 275.91 კვ.მ.

საზოგადოებრივი ფუნქცია - 26,83 % - 14 401.71 კვ.მ.

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე / სართულიანობა:

შენობა N1- 14 სართული / 52,28 მ.

შენობა N2 - 29-34 სართული / 162.22 მ.

ფუნქციური გამოყენებები - მრავალბინიანი საცხოვრებელი, საზოგადოებრივი.

არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), მცირე ნაწილშე - ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვრულია საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ ერთეულების ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა, რომელიც დგინდება საბაზო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარგასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის - 1034.26 კვ.მ-ის შესაბამისი ფასის ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადახდა.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24

საქართველო, თბილისი, 0160, უ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი აძლევანების სირულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციული წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკები უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა საგალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური სააგვარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2023 წლის 27 ნოემბრის N01233313768 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 20 დეკემბრის N0123354927 წერილის შესაბამისად, სააგენტო, წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის იმ პირობით, რომ N01233532993-67 შეტყობინების საფუძველზე პროექტი ისარგებლებს მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში არსებული სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელით, შეთანხმებული სქემის შესაბამისად (N16- 01233491830).

შემოაღწინიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.03.040.095; №01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ემუხლის „ე.ბ.“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე,

N01233172941-67 (N0123343126-67; N01233463864-67; N01233484046-67; N01233524045-67; N01233524562-67; N01233531289-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.040.095; N01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ქრთველის/ქრთველის ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა, რომელიც განისაზღვრება საბაზო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ 2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 1034.26 კვ.მ-ს.

4. გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

5. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

6. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

8. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისში საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის მერი



გახა ვალაძე



ეპლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ეპლაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0123354927
თარიღი: 20/12/2023

2023 წლის 19 დეკემბრის N 01233531289-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N22ა და N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.03.040.372; 01.14.03.040.095) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგალების დამტკიცების ეტაპზე 2023 წლის 16 სექტემბრის N 012325960-67 განცხადების პასუხად N 01232783439 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთნხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ-ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის იმ პირობით, რომ N 01233532993-67 შეტყობინების საფუძველზე პროექტი ისარგებლებს მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში არსებული სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელით, შეთანხმებული სქემის შესაბამისად (N16-01233491830).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია გვალითიფიციური
ელექტრონული ხელშროწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01233313768
თარიღი: 27/11/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 13 ნოემბრის №01233172941-67 ვანცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ქავთარაძის ქუჩა №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.03.040.095; 01.14.03.040.372; ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საქალაქო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიული 4 ძირი (№25, №37, №39, №44) მწვანე ნარგავი განვითარება ხილ-კენკროვნობით ასხეობას. „ქალაქ თბილისში საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ასეუბული მწვანე ნარგავებისა და სასტაციო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისში მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვნობით ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვნობით ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განვითარება ხილ-კენკროვნობათ სახეობას და მოსაჭრელი მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/ გადარგვა არ აძიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქედებულების საფუძველზე და საქალაქო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყინებელი ტერიტორიის ზემელი/ხმობადი/ავარიული/ფაუტი ხეებისაგან გამოთავსუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 2 ძირი (№1; №24) ზემელი/ავარიული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხში შეფასები გაცემულ საექსერტო დასკვნაში აღწერილი 20 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა (№10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 19; 20; 22; 23; 36; 38; 40; 41; 42; 43; 45; 46) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 20 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტენიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საქალაქო დასკვნაში აღწერილი 2 ძირი (№9, №21) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოდგენილი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოთხოვნის ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ზიზიკური მახასიათებლობის, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საქალაქო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციექტი და განახორციელების გადარგვის შედეგის დაგუმენტის (დეტალური) პროექტის ფარგლებში გასამწვნებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 38 ძირი და საპროექტოდ დასარგავი: 40 ძირი კავკასიური ცაცხვი, 40 ძირი პიმაღლის კედელი, 45 ძირი მინდვრის ნეკრისალი, ჯამში - 163 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს (სტ-2 = 0.3 = 3467 მ²).

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვნებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 38 ძირი და საპროექტოდ დასარგავი: 40 ძირი კავკასიური ცაცხვი, 40 ძირი პიმაღლის კედელი, 45 ძირი მინდვრის ნეკრისალი, ჯამში - 163 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს (სტ-2 = 0.3 = 3467 მ²).


იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან)და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანაზმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.


აქვე გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტის ეტაპზე განმცხადებელმა 01.14.03.040.095 საკადასტრო ერთეულისთვის უნდა წარმოადგინოს მწვანე ნარგავების აღწერისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც დაადასტურებს ტერიტორიაზე მათ პრარსებობას. ამსათანავე, წარმოდგენილ დენდროლოგიურ პროექტზე დატანილ უნდა იქნას თითოეული გადასარგავი მწვანე ნარგავის გადარგვის არეალი და შესაბამისი ხუმერაცია.


ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარევდ წყალმომარაგების მიღისა და ელ. მომარაგების ქსელის გარდა ფიქსირდება სხვა ხაზობრივი ნაგებობებიც, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.


გამოყენებულია კვალიფიცირებული ელექტრონული სელმოწერა/ელექტრონული შტამპი












କେବଳ ପାଦମଣ୍ଡଳରେ ଏହା ନାହିଁ । ସାଥୀ କାହାରେ ଏହା ନାହିଁ । ସାଥୀ କାହାରେ ଏହା ନାହିଁ ।



საცხოვრებელი 1

ଓପ୍ପା ପଦିତ୍ତୁ

၂၁၁

ပဋိနှင့်ပညာပေါ်

სამოწმეო	34
სამოწმეო	33
სამოწმეო	32
სამოწმეო	31
სამოწმეო	30
სამოწმეო	29
სამოწმეო	28
სამოწმეო	27
სამოწმეო	26
სამოწმეო	25
სამოწმეო	24
სამოწმეო	23
სამოწმეო	22
სამოწმეო	21
სამოწმეო	20
სამოწმეო	19
სამოწმეო	18
სამოწმეო	17
სამოწმეო	16
სამოწმეო	15
სამოწმეო	14
სამოწმეო	13
სამოწმეო	12
სამოწმეო	11
სამოწმეო	10
სამოწმეო	9
სამოწმეო	8
სამოწმეო	7
სამოწმეო	6
სამოწმეო	5
სამოწმეო	4
სამოწმეო	3

საწილები 29 სულიერი 2000	•	
საწილები 28 სულიერი 2000	•	
საწილები 27 სულიერი 2000	•	
საწილები 26 სულიერი 2000	•	
საწილები 25 სულიერი 2000	•	
საწილები 24 სულიერი 2000	•	
საწილები 23 სულიერი 2000	•	
საწილები 22 სულიერი 2000	•	
საწილები 21 სულიერი 2000	•	
საწილები 20 სულიერი 2000	•	
საწილები 19 სულიერი 2000	•	
საწილები 18 სულიერი 2000	•	
საწილები 17 სულიერი 2000	•	
საწილები 16 სულიერი 2000	•	
საწილები 15 სულიერი 2000	•	
საწილები 14 სულიერი 2000	•	
4705	●	
საწილები 12 სულიერი 2000	•	
საწილები 11 სულიერი 2000	•	
საწილები 10 სულიერი 2000	•	
საწილები 9 სულიერი 2000	•	
საწილები 8 სულიერი 2000	•	
საწილები 7 სულიერი 2000	•	
საწილები 6 სულიერი 2000	•	
საწილები 5 სულიერი 2000	•	
საწილები 4 სულიერი 2000	•	
საწილები 3 სულიერი 2000	•	
საწილები 2 სულიერი 2000	•	
საწილები 1 სულიერი 2000	•	

